შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.650)

27 სექტემბერი-4 ოქტომბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„გერმანული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია“...

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს პატრონაჟით განხორციელებული სასწავლო პროგრამა დასრულდა. 16 კაციანი ქართული დელეგაცია, რომელშიც კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და დედოფლისწყაროს ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ, სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

პროექტის მიზანი ქართული მხარისათვის გერმანული გამოცდილების გაზიარება და ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება იყო.გერმანელმა ფერმერებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართულ დელეგაციას გამოცდილება ტურიზმის,სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით გაუზიარეს.

ქართული დელეგაცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (ჩlძ) მიწვევით გერმანიაში 7 სექტემბერს გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში, სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი იმყოფებოდნენ.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტს ნაყოფიერად ვაფასებ. დავათვალიერეთ ადგილობრივი ფერმები, სათბურები, მარცვლეული კულტურების ნათესები, ხეხილის ბაღები, გავესაუბრეთ სოფლის მეურნეობის მუშაკებს, გავეცანით მათ გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გერმანულმა კოოპერატიულმა მოდელმა. დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში კოოპერატივები ახლად იდგამს ფეხს, გერმანული გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია. კოოპერატიული გაერთიანება, რომლითაც ჩვენ დავინტერესდით, ერთ-ერთი უმსხვილესია გერმანიაში და სოფლის მეურნეობის არაერთ მიმართულებას მოიცავს. ჩვენმა დელეგაციამ გამოთქვა კახეთის რეგიონში მსგავსი მოდელის დანერგვის სურვილი. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად მოხერხდება ამის განხორციელება.

მოვინახულეთ ასევე გერმანიის ყველაზე დიდი ტბა, რომელსაც ასევე ზღვასაც უწოდებენ. „ბოდენის ტბას“ სამი ქვეყანა ესაზღვრება: შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი. გავეცანით მართვის ფორმას ტურიზმის განვითარების სფეროში- როგორ თანამშრომლობენ ეს ქვეყნები და რა სერვისებს სთავაზობენ ტურისტებს.

ცნობილია, რომ გერმანიას არ გააჩნია ბუნებრივი ტყეები. მხოლოდ 10%-ია ასეთი, დანარჩენი ხელოვნურად გაშენებული ტყეებია. ასეთი საინტერესო პროექტი მუშაობს, რომ ტყიდან ნარჩენი საერთოდ არ გამოაქვთ. პირველი საცდელი ეტაპი 30 წლიანი პროექტი აქვთ, რის მიხედვითაც არანაირი ნარჩენი არ გამოაქვთ ტყიდან, რადგან ხელოვნური ჩარევით, თუნდაც გამხმარი ხეების და ნარჩენების გამოტანით არ დაზიანდეს. გარკვეული სახეობები, მცენარეები თუ ცხოველები, გადაშენების პირას მივიდა და ამ პროექტით ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან ტყე და ზედმეტი ზემოქმედებით გადაშენების პროცესი არ დააჩქარონ, ამიტომაც ცდილობენ, არ ჩაერიონ.

მაშინ, როცა საქართველოში აქტიურად დგას ტყეებისა და ქარსაცავი ზოლების შენარჩუნების პრობლემა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გაცნობა ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთ პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს. მათ შემუშავებული აქვთ ტყეების შენარჩუნების მრავალწლიანი პროგრამები და არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ ერთობლივი თანამშრომლობა ამ მიმართულებითაც შედგეს“ - აცხადებს ზვიად ჯავახიშვილი და აღნიშნავს, რომ გერმანულ მხარესთან ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „მოგეხსენებათ დედოფლისწყაროში ძალიან მწვავედ დგას ქარსაცავი ზოლებისა და ზოგადად ტყეების პრობლემა. გავეცანით გერმანული მხარის გამოცდილებას ტყეების გაშენების და მოვლის კუთხით. მოსახლეობის, ფერმერებისა და მუნიციპალიტეტის როლს ამ პროცესში.

(გაგრძელება გვ.3)

აგროდაზღვევა - სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

საქართველოში აგროდაზღვევის კულტურის დამკვიდრებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დროა. ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია ჩართული, დაზღვევის ეს სახეობა საერთოდ არ გვხვდება მზღვეველთა მიერ შემოთავაზებულ პაკეტებში. არადა, ყოველ გაზაფხულზე თუ ზაფხულში არაერთხელ მიგვისმენია ფერმერთა თუ მცირემიწიან გლეხთა ჩივილი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა პრობლემების გამო ნათესები ან მოსავალი გაუნადგურდათ. საკმაოდ ხშირია ამ მიზეზით კრედიტების გასტუმრებასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

სწორედ აგროდაზღვევის კულტურის დამკვიდრებას ემსახურება პროგრამა, რომელიც სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტომ 2014 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო. პროგრამა ერთწლიანია, მისი ბიუჯეტი 5 მილიონ ლარს შეადგენს და ფერმერებს სადაზღვევო პრემიის 70%-დან 95%-მდე სუბსიდირებას სთავაზობს.

მარტივად რომ ითქვას, თუ თქვენ დაზღვევისთვის გადასახდელი გაქვთ 100 ლარი, სახელმწიფო 70 ან 95 ლარს იხდის (სახეობების მიხედვით), დარჩენილ თანხას კი თქვენ გადაიხდით. ამასთან, სახელმწიფო სუბსიდირების მაქსიმალური ლიმიტი კერძო ფერმერებისთვის 30 ათასი, ხოლო კოოპერატივებისთვის 50 ათასი ლარია. პროგრამაში ხუთი სადაზღვევო კომპანიაა ჩართული: "ჯიპიაი ჰოლდინგი", "ალდაგი ბისიაი", "აისი ჯგუფი", "ქართუ ჯგუფი" და "ირაო".

ჩვენ აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტს იაგო ყოჩიაშვილს ვესაუბრებით:

-ზოგადად, ცნობილია, რომ აგროდაზღვევა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა - სახეობების მიხედვით სადაზღვევო პრემია (ანუ მოსავლის დასაზღვევად გადასახდელი თანხა) მოსავლის სავარაუდო ღირებულების 8 პროცენტიდან 16 პროცენტამდე შეიძლება მერყეობდეს. აქ უკვე გლეხსა და წლების განმავლობაში მოყვანილი მოსავლის სტატისტიკაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეფასდება მიწაზე მოსაყვანი პროდუქციის მოცულობა. თითოეული კულტურის კილოგრამზე სადაზღვევო კომპანიის მიერვე არის განსაზღვრული ფასები. მაგალითად, 1 კილოგრამი ხორბალი 54 თეთრადაა შეფასებული, 1 კილოგრამი ლობიო - 1,80 ლარად, ყურძენი -1,2 ლარად, მოცხარი - 3,36 ლარად, კაკალი - 4,2 ლარად და ა.შ.

- როგორია აგროდაზღვევის ტარიფები?

- ამ პროგრამის დაზღვევის რისკებში განიხილება სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. რაც შეეხება ტარიფებს, სხვადასხვა კულტურის მიხედვით, დაზღვევის ტარიფი ასეთია: ხორბალზე,

(გაგრძელება გვ.3)

„სიყვარულისთვის გამაჩინა მაღალმა ღმერთმა“...

გვ. 4

საქართველო კავშირის - „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ წევრი გახდება

გვ. 2

დაუცველი ბავშვები კვლავ ზრუნვის გარეშე

გვ. 6

როგორ აღმოჩნდა ჩაკრული კოსმოსში - დღემდე უცნობი საიდუმლო



გვ. 8

C M Y K

პრემიერ-მინისტრი გაეროში - აქცენტი დევნილებზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 22 სექტემბერს გაეროს შტაბბინაში გენერალური ასამბლეის 29-ე სპეციალურ სესიაზე სიტყვით გამოვიდა „მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის შესრულების საკითხებზე". იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული დაბრუნება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იყო პრემიერის გამოსვლის მთავარი აქცენტი. ღარიბაშვილმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზეც ილაპარაკა. გაეროს 69-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთი მაღალი დონის შეხვედრაა დაგეგმილი, რომელშიც საქართველოს დელეგაციის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს მთავრობაში ასევე იმედოვნებენ, რომ გაერო მიიღებს რეზოლუციას იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, რომელსაც წელს უფრო მეტი ქვეყანა დაუჭერს მხარს.

გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა სხვადასხვა დროის კონფლიქტების გამო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები 450 000 იძულებით გადაადგილებული პირი ახსენა და განაცხადა, რომ, მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, ქვეყანაში დევნილების საკითხი კვლავაც გამოწვევად რჩება:

„კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დევნილების საკითხი. კონფლიქტის რამდენიმე ტალღის გამო საქართველოში 450,000-ზე მეტი ადამიანია იძულებით გადაადგილებული. დღემდე დარღვეულია მათი საკუთარ სახლებში, წარმომავლობის ადგილებში დაბრუნების უფლება, რადგან ვერ კმაყოფილდება მათი უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების პირობები.

მთავრობის ძირითად მიზნად რჩება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ვიდრე შესაძლებელი არ გახდება მათი უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. ჩვენ ამჟამად ვახორციელებთ რამდენიმე სხვადასხვა გეგმას მოცემული მიზნის მისაღწევად, თუმცა, ამ მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, გასაკეთებელი კიდევ ბევრი რჩება".

ირაკლი ღარიბაშვილმა თავის ოთხწუთიან გამოსვლაში ბოლო 20 წლის განმავლობაში, სამოქმედო პროგრამის მიღების შემდეგ, საქართველოს მიღწევებზეც გაამახვილა ყურადღება. მიღწევები კი ეხება მშობიარობის დროს ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას, საყოველთაო ჯანდაცვის კუთხით განხორციელებულ პროექტებს, შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირებას და ა.შ.

„უფრო ცოტა ქალი იღუპება მშობიარობისას, გაიზარდა არასასურველი ორსულობის პრევენციის ფაქტები, გაფართოვდა ახალგაზრდების შესაძლებლობები. თუმცა, გაცილებით უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო. გასულ წელს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაწყება, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს თითოეული მოქალაქე ამბულატორიული, სტაციონარული და გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით. საქართველოს აქვს ასევე ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სტრატეგია, რომლის ძირითადი აქცენტები მიმართულია ღარიბი და სოციალურად დაუცველი ადამიანების დაცვასა და ხანდაზმულ ასაკში სიღარიბისაგან დაცვაზე.

2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. შემდგომ, 2014 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. ჩემმა ქვეყანამ განახორციელა რამდენიმე საკანონმდებლო და ინსტიტუციური ინიციატივა ადამიანის უფლებათა სფეროს მოსაწესრიგებლად, 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის, 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმისა და ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების ჩათვლით".

პრემიერის გამოსვლას გაეროში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი ჩიქოვანიც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ღარიბაშვილმა სწორი აქცენტები დასვა ქვეყანაში არსებული გამოწვევების და უკვე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თუ სხვა რეფორმების შესახებ: „მან ისაუბრა იმ პროგრამების შესახებ, რომებლიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდას, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და განსაკუთრებით ხაზი გაესვა ჯანდაცვის იმ სოციალურ პაკეტს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს".

პარალელურად, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, რამდენიმე ათეული შეხვედრა ექნება საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესაც. ამ შეხვედრების შედეგები აისახება დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ გაეროს რეზოლუციის მხარდამჭერთ რაოდენობაზეც. თავად მაია ფანჯიკიძის განცხადებით, 193 ქვეყნიდან რეზოლუციას მხარს ამ ეტაპზე 69 ქვეყანა უჭერს, თუმცა მას იმედი აქვს, რომ ეს რიცხვი გაიზრდება.

„ლტოლვილების თემა გაეროს ფორმატში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს ყოველწლიურად გააქვს რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მათი და იძულებით გაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ, ამიტომ მხარდაჭერის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენს მთავარ ამოცანასაც ეს წარმოადგენს".

შეგახსენებთ, რომ რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 2008 წლიდან ყოველ წელს გადის კენჭისყრაზე და მას თავდაპირველად სულ 16 მხარდამჭერი ჰყავდა, 2012 წელს რეზოლუციას 60 ქვეყანა უჭერდა მხარს, 2013 წელს - 63. რეზოლუციას წმინდა ჰუმანიტარული მნიშვნელობა აქვს. ის გმობს ძალადობრივი გზით დემოგრაფიული ცვლილებების განხორციელებას და ხაზს უსვამს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან - ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან - იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნებას. რეზოლუცია კიდევ ერთხელ განამტკიცებს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებას და გამოკვეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული ორგანიზაციების შეუზღუდავი მუშაობის მნიშვნელობას.

თურქეთის სკოლებში ქართულ ენას შეისწავლიან

თურქეთის განათლების სამინისტრომ თურქეთის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა. საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლიდან, თურქეთის თითოეულ სკოლაში ქართულის შესწავლის მსურველი მინიმუმ 10 მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში ქართული ენის 244 საათიანი სწავლების პროგრამა დაინერგება.

„ამ კუთხით მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობდა, ჩართული იყო ქართული დიასპორა. ეს უდიდესი დახმარება იქნება იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის. მათ რეალურად ხელმისაწვდომობა ექნებათ, რომ შეისწავლონ ქართული ენა. ჩვენი ჩართულობა ძირითადად გამოიხატებოდა საგანმანათლებლო რესურსების მომზადებაში - საგნობრივი სტანდარტი, პროგრამა. თავდაპირველ ვერსიებში იყო გარკვეული შენიშვნები, რომლებიც დაიხვეწა და საბოლოო ჯამში ქართულმა დიასპორამ მიაღწია წარმატებას, რომლის ფარგლებშიც, თურქეთში ეთნიკური ქართველები და საერთოდ ვინც იქნება ქართულის შესწავლის მსურველი, სკოლებში შეძლებენ ქართულის სწავლას. იქ არის ზოგადი ჩანაწერი, რომ კლასში, სადაც იქნება 10 მოსწავლე ან მეტი მსურველი, რომ ისწავლოს ქართული ენა, მას ექნება ამის საშუალება", - განუცხადა საქართველოს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ტელეკომპანია „მაესტროს".

მინისტრის განცხადებით, თურქულმა მხარემ გადაწყვეტილების მიღებამდე ის ქართული სახელმძღვანელოები შეისწავლა, რომლითაც ბავშვებმა თურქეთის სკოლებში ქართული უნდა ისწავლონ.

„სახელმძღვანელოს სტანდარტები და დამხმარე ლიტერატურა ჩვენთან მომზადდა და მიეწოდა თურქულ მხარეს, რომელმაც შეისწავლა და ამის შემდეგ მოგვცეს დასტური. თუ იქნება იმის საჭიროება, რომ ჩვენ ჩავერთოთ საგანმანათლებლო პროცესის დროს, როგორიცაა მაგალითად პედაგოგის მომზადება, ამ თანამშრომლობისთვის მზად ვართ", - განაცხადა სანიკიძემ.

მისივე თქმით, განათლების სამინისტროს სიახლე აქვს იმ ეთნიკური ქართველებისთვისაც, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ.

„ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ სპეციალური საიტი აამუშავა (www.geofl.ge) სადაც განთავსდება მეთოდური სახელმძღვანელოები და ხელმისაწვდომი იქნება ყველა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ქართული ენის პოპულარიზაციაზე და პირველ რიგში იმაზე, რომ დავეხმაროთ ჩვენს თანამემამულეებს და ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, რომ არ დაივიწყონ ქართული", - განაცხადა თამარ სანიკიძემ.

სკანდალი - ჩაწყობილი თამაშები

პროკურორ ზვიად ფხაკაძის განცხადებით, მსაჯებისთვის ჩაწყობილ თამაშებში თანხა 5000 დოლარი, ხოლო სადუბლო მატჩებში 2500 დოლარი იყო. როგორც საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებს პროკურორმა ბრალდებულის პროცესის დაწყებამდე განუცხადა, ეს საკითხი ძირითადად შეეხებოდა ყვითელი ბარათების ჩვენებას.

"გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ისინი ხვდებოდნენ კერძო პირებს, საკითხი კონკრეტულად შეეხო ყვითელი ბარათის ჩვენებას, თანხა განისაზღვრებოდა უმაღლესი ლიგის შეხვედრაში 5000 დოლარით, ხოლო სადუბლო მატჩებში 2500 დოლარით", - განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალაში ჩანს, მისი თქმით, ესენი არიან ოპერატიული თანამშრომლები, ვისი ვინაობაც არ კონკრეტდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში თამაშების ჩაწყობაში ბრალდებული მსაჯების სასამართლო პროცესი იწყება.

რაც შეეხება დაკავებული მსაჯების სრულ სიას, ესენი არიან: ოთარ ხეცაძე, ირაკლი და მამუკა ურუშაძეები, თეიმურაზ ხუჭუა, ალექსანდრე გუნთაძე, ზვიად ასკაროღლი, ონისე მოლოდინაშვილი და თორნიკე გვანცელაძე.

ზვიად ასკაროღლი და ალექსანდრე გუნთაძე დანაშაულს აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს. ამის შესახებ გუნთაძისა და ასკაროღლის ადვოკატმა მარინა მარიამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ამ საქმეში არის მესამე პირი, რომელიც არის ყოფილი მსაჯი ონისე მოლოდინაშვილი.

როგორც ადვოკატმა განაცხადა, მათ ამ საქმეში სამივემ ერთად, 2500 დოლარი აიღეს.

"მე ამ საქმეში ზვიად ასკაროღლის და ალექსანდრე გუნთაძის ინტერესებს ვიცავ. ისინი აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, მათ ამ საქმეში მხოლოდ ერთი ფაქტი უფიქსირდებათ, ეს არის 22 სექტემბრის მატჩი საჩხერის "ჩიხურასა" და გორის "დილას" დუბლებს შორის. ფული ვინც შესთავაზა, მოწმის სახით არიან დაკითხული, ესენი არიან მოქალაქეები, ვინმე ბიბილური და საღირაშვილი, რომლებიც დაკავებულებმა 20 სექტემბერს გაიცნეს. მსაჯებთან დაკავშირება, ყოფილი მსაჯის, ონისე მოლოდინაშვილის მეშვეობით მოახერხეს ამ პირებმა, სამივე ამ მსაჯმა მოლოდინაშვილმა, გუნთაძემ და ასკაროღლიმ ერთად 2500 აშშ დოლარი აიღეს, - განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, მისი შუამდგომლობა იქნება, რომ გამოყენებული იქნას აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო.

ადვოკატის განმარტებით, პატიმრობა მკაცრი სასჯელი იქნება იმ დროს, როდესაც ეს ადამიანები დანაშაულს აღიარებენ.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვის ფაქტზე რვა პირი დააკავა. დაკავებულები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტის ეროვნული კატეგორიის არბიტრები — 1977 წელს დაბადებული ოთარ ხ., 1979 წელს დაბადებული ირაკლი უ., 1972 წელს დაბადებული მამუკა უ., 1975 წელს დაბადებული თეიმურაზ ხ., ასევე პირველი კატეგორიის არბიტრები, 1975 წელს დაბადებული ალექსანდრე გ., 1984 წელს დაბადებული ზვიად ა., ეროვნული კატეგორიის ასისტენტი, 1974 წელს დაბადებული ონისე მ. და "ფიფას" არბიტრი, 1986 წელს დაბადებული თორნიკე გ...

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული პირები 2500-დან 5000 აშშ დოლარამდე თანხის სანაცვლოდ წინასწარ ურიგდებოდნენ მოქალაქეებს მათი მსაჯობით ჩასატარებელ თამაშებში ფეხბურთელთა დასაჯარიმებელი ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობაზე, რასაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. როგორც შსს-ში განაცხადეს, ამ სქემით ბრალდებულები აღნიშნულ მოქალაქეებს საშუალებას აძლევდნენ წინასწარ შეპირებული ჯარიმების რაოდენობის მიხედვით გაკეთებული ფსონით მოგება მიეღოთ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების მონაცემებით, ანალოგიური სქემით მოქმედებენ სხვა მსაჯებიც, რომელთა მიმართ გამოძიება გრძელდება. გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო. თუ როდის გაიმართება აღკვეთი ღონისძიების შესახებ სასამართლო პროცესი, ამ დროისთვის უცნობია.

სამსაჯო კომიტეტმა კომიტეტის სხდომაზე ბრალდებულ მსაჯებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა - ჯანდაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გატარებული რეფორმების შედეგად დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით პროგრესი შეინიშნება. მათი ინფორმაციით, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონე 2000-დან 2013 წლამდე 21.1-დან 11.2-მდე (1000 ცოცხალშობილზე) შემცირდა, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა კი 24.9-დან 13-მდე (1000 ცოცხალშობილზე).

„საქართველომ 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვით უკვე მიაღწია ათაწლეულის სამიზნე მაჩვენებელს (16 - 1000 ცოცხალშობილზე) და გააუმჯობესა კიდეც. გაეროს ბავშვთა ფონდის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა სიკვდილიანობის ანგარიშში წელს პირველად იქნა გამოყენებული საქართველოს რუტინული სტატისტიკური მონაცემები", - განაცხადეს სამინისტროში.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნეს, 2013 წელს თებერვალიდან დედათა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა „აქტიურ" ზედამხედველობას დაექვემდებარა.

„მიმდინარეობს მშობიარობასა და მის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების გატარება. შემუშავდა საკეისრო კვეთისა და აბორტის გაიდლაინი და მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები სელექციური აბორტების შემცირების მიზნით. 2014 წლის ივნისიდან ყოველი ორსული ქალი უზრუნველყოფილია ფოლიუმისა და რკინის პრეპარატებით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედათა სიკვდილობის რიცხვის შემცირებაში", - განაცხადეს სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, 2000 წელს, დედათა სიკვდილობა 49.2-ს შეადგენდა (100000 ცოცხალშობილზე), 2013 წელს კი - 27.7-მდე დაიკლო.

საქართველო კავშირის - „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი" წევრი გახდება

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია სტუმრობს. დელეგაციას ჩინეთის საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი , ჩინეთის პოლიტსაბჭოს წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ფან იუნჰე ხელმძღვანელობს.

ვიზიტის მიზანია საქართველოს, როგორც "აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის" კავშირის მომავალი წევრი ქვეყნის შესაძლებლობების განსაზღვრა ანუ, რამდენად და რა შესაძლებლობებით შეუძლია საქართველოს ჩაერთოს და იყოს კავშირის წევრი ქვეყანა.

დელეგაციის წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი შეხვდნენ.

შეხვედრაზე ის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტები განიხილეს, რითაც ქართული მხარე კავშირის წევრ ქვეყნებთან ითანამშრომლებს.

კავშირის "აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი" მიზანია აბრეშუმის გზის წევრი ქვეყნების ერთ ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანება და წევრი ქვეყნების ჩართვა ერთობლივ ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა პროექტებში.

„გერმანული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია“...

(პირველი გვერდიდან)

ვნახეთ, რომ ეს ურთიერთობა გერმანიაში საუკეთესოდ არის დარეგულირებული. როგორ ხდება ეროვნული პარკების, ნაკრძალების და დაცული ტერიტორიების მოვლა გერმანიაში. კახეთშიც ორი დაცული ტერიტორია გვაქვს და ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ჩვენც ვიცოდეთ, როგორ გვარდება ბუნებისა და ადამიანის კონფლიქტი, ისე რომ ყველას ინტერესი დაცული იყოს, როგორია ამ მხრივ მოსახლეობის მიდგომა. ვფიქრობ, ამ გამოცდილების გაზიარების კუთხით ძალიან პროდუქტიული ვიზიტი იყო. მით უფრო, რომ როგორც ცნობილია, მომავალი წლიდან გერმანული მხარე ჩld-ის დახმარებით საქართველოში დაცული ტერიტორიების კუთხით მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იწყება და იქ მიღებული გამოცდილება სამომავლოდ ძალიან დაგვეხმარება. ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო გამოცდილება მივიღეთ, ასევე, სოფლის მეურნეობის სფეროში. ადგილობრივი ფერმერების კონსულტაციები ნაყოფიერი იყო, ასევე გვქონდა შეხვედრები კოოპერატივებთან დაკავშირებით, რომელიც გერმანიაში ძალზე კარგადაა აწყობილი. მოგეხსენებათ, საქართველოშიც კოოპერატიული გაერთიანებების წახალისების მიზნით გარკვეული შეღავათები იმოქმედებს და კარგი იქნება, თუ კოოპერატივები ჩვენს რეალობაშიც ფეხს მოიკიდებს. საქართველოს ხელისუფლება ამ კუთხით უკვე მუშაობს. შევხვდით ასევე ქალაქ შტუტგარტის თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ჩვენი გუბერნიის მსგავსი მოდელია და, საჯარო მოხელეებთან შეხვედრისას, ქალაქდაგეგმარების თემაზე, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ საკითხებში მათი გამოცდილება გავიზიარეთ. ვფიქრობ, რომ ისეთი განვითარებული ქვეყნისგან, როგორიც გერმანიაა, ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და ჩვენთან დავნერგოთ. მითუმეტეს, ვიზიტი მთლიანად გერმანული დაფინანსებით შედგა და ქართულ მხარეს არცერთი თეთრი არ დაუხარჯავს.“

ნუგზარ პაპიაშვილი (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე): „ჩვენი ვიზიტი ნაყოფიერად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ რაც იქ ვნახეთ, თუნდაც გარკვეული წლების შემდეგ ჩვენთანაც განვახორციელებთ და მათ გამოცდილებას გავიზიარებთ. ზოგადად თუ შევაფასებთ, ძალიან საინტერესო იყო, ასეთი გლობალური ცვლილებების პირობებში როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ ველური ბუნება პირვანდელი სახით. სხვათაშორის, გერმანია ამას საუკეთესოდ ახერხებს. გამაოცა ბუნებისადმი ადგილობრივების დამოკიდებულებამ. ტყეში კილომეტრები ვიარეთ, მაგრამ პატარა ქაღალდის ნაგლეჯიც ვერ ვნახეთ, შესაშური სისუფთავე იყო. ეს სასწაულია და ნამდვილად გადმოსაღებია. ძალიან სასარგებლო გაკვეთილი მივიღეთ.“

ილია მარტყოფლიშვილი

აგროდაზღვევა - სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

(პირველი გვერდიდან)

ქერზე, სიმინდზე სადაზღვევო პრემია 8 პროცენტია და სახელმწიფო აქედან 6 პროცენტს ფარავს; ყურძენზე 12 პროცენტია და აქედან სახელმწიფოს თანადაფინანსება 8 პროცენტს შეადგენს; სხვადასხვა ბაღჩეულსა და ბოსტნეულზე - 12 პროცენტი, სახელმწიფოს მხრიდან 8 პროცენტის დაფარვით; ყველაზე ძვირი საზამთროსა და ნესვის კულტურების დაზღვევაა - 16 პროცენტი, საიდანაც სახელმწიფო 10 პროცენტს ფარავს; კენკროვანი და სუბტროპიკული კულტურების დაზღვევა საშუალოდ 14 პროცენტი ჯდება, 10-პროცენტიანი სახელმწიფო თანადაფინანსებით.

განვიხილოთ ხორბლის მაგალითზე: სადაზღვევო რისკი-ქარიშხალი(16 მ/წმ-ში და მეტი). 1კგ. ხორბალი 54 თეთრადაა შეფასებული, იზღვევა 1 ჰექტარზე 3ტონა მოსავალი, 1620 ლარის ოდენობით. სადაზღვევო ტარიფი შეადგენს 8პროცენტს, ე.ი. 129,60 ლარს. სახელმწიფო იხდის 97,20 ლარს, ფერმერის გადასახდელი რჩება 32,40 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ ყანა დაიქარა 30 პროცენტით, სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს ფერმერს თანხას შემდეგი პირობებით:1620 ლარის 30 პროცენტი არის 486 ლარი, ამ თანხას აკლდება ფრანშიზა-10 პროცენტი. (ფრანშიზა-სადაზღვევო ლიმიტის 10 პროცენტი, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას).ამ შემთხვევაში 486 ლარს აკლდება 162 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერმერს უნაზღაურდება 324 ლარი.

ახლა განვიხილოთ ვენახის მაგალითზე: სადაზღვევო რისკი-სეტყვა. 1 ჰა ვენახი, მოსავლიანობით 10 ტონა, იზღვევა 12 000 ლარად. მისი ტარიფია 12 პროცენტი, თანხით 1440 ლარი, საიდანაც 75 პროცენტს-1080 ლარს იხდის სახელმწიფო, 360 ლარს კი-მევენახე.

30 პროცენტით დასეტყვის შემთხვევაში, მევენახეს აუნაზღაურდება შემდეგი თანხა შემდეგი პირობებით: 12 000 ლარის 30 პროცენტი შეადგენს 3600 ლარს, მას აკლდება 10 პროცენტი ფრანშიზა. 12 000-ის 10 პროცენტი შეადგენს 1200 ლარს, 3600 ლარს გამოაკლდება 1200 ლარი და მევენახე მიიღებს 2400 ლარს სადაზღვევო კომპანიისგან.

ფერმერმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ამ თანხის გაღება სიმშვიდისთვის, რომელსაც ზარალის შემთხვევაში სადაზღვევოკომპანისთავაზობს.

- საზღვევო რისკებს შორის არ არის გვალვა, რატომ?

-თუკი ჩვენ გვინდა, რომ ევროპული სახლის ღირსეული ნაწილი გავხდეთ, მაშინ ამ საკითხის გადაჭრისასაც ევროპული გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ. მიმაჩნია, რომ გვალვას, როგორც შედეგს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ მნიშვნელოვანია, რომ იმ მიზეზების აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ, რომელიც გვალვის პერიოდში მოუსავლიანობისგან დაგვიცავს. სახელმწიფომ თანხა უნდა მიმართოს სამელიორაციო სისტემის მოწესრიგებაზე, და არა მხოლოდ სადაზღვევო რისკებში გვალვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

გვალვის დაზღვევა კიდევ უფრო ძვირი სიამოვნებაა და მისი თავზე აღება კომპანიებისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც ამ ეტაპზე საკმაოდ რთული იქნებოდა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვაკითხოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, გამგეობის შენობა, მეორე სართული ან დარეკონ ტელეფონზე:599917573

როგორც აგრარული სფეროს ექსპერტები ვარაუდობენ, პროექტის წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ფერმერი ან გლეხი გადაწყვეტს მასში ჩართვას. ხელის შემშლელი პირობები შეიძლება იყოს მიწის საკუთრების გაურკვევლობა, რის გამოც დაურეგისტრირებელ მიწაზე მისაღები მოსავლის დაზღვევას ფერმერი, ცხადია, ვერ შეძლებს. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ერთჯერადი პროექტი საკმარისი არ იქნება დაზღვევის კულტურის დასამკვიდრებლად და იმისათვის, რომ მიწათმოქმედები საქართველოში მისაღები მოსავლის მთლიანად საკუთარი რესურსით დასაზღვევად განაწყოს. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა საპილოტე პროექტი საკმაოდ სწორი ტენდენციის დამკვიდრებას ცდილობს და მისი წარმატება საქართველოს სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, მართლაც, მნიშვნელოვანი იქნება.

ინგა შიოლაშვილი

„სიყვარულისთვის გამაჩინა მაღალმა ღმერთმა“...

იქიდან აქეთ რამხელა გზაა, აქედან იქით... მოგონებები.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ განახორციელა პროექტი “მოგონებები გარდასულ დღეთა”. პროექტი რაიონის გამგეობისა და გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის მხარდაჭერით გაიმართა. ის ჩატარდა ამავე ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით. ღონისძიებას სპონსორობდნენ კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი ივანე გიგოლაშვილი და “ნამცხვრის სახლის”ხელმძღვანელი ირინა მერაბიშვილი. შეხვედრა სასწავლო ცენტრ “სპექტრის” საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. მას უძღვებოდა იდეის ავტორი და ორგანიზატორი , მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე. აქ თავი მოიყარეს ღვაწლმოსილმა ინტელიგენტმა ქალბატონებმა: მერი თარაშვილმა, ცისანა მჭედლიშვილმა, ნათელა ღრუბელაშვილმა, ეკა გიორგანაშვილმა, ნათელა პოპიაშვილმა, დოდო ალუღიშვილმა, რომლებმაც ბედნიერი წლები გაიხსენეს, როცა ცხოვრების გარიჟრაჟზე თავისი ბედი დაუკავშირეს მათთვის საყვარელ და რჩეულ ადამიანებს, მათთან ერთად განვლეს ცხოვრების გზა და გასახსენებელიც ბევრი დაუგროვდათ.

ვიდრე უშუალოდ ღონისძიება დაიწყებოდა, სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნუნუ ცაკაშვილმა დამსწრეთ გააცნო ცენტრის მუშაობის პრინციპი, ისაუბრა იმ წარმატებებზე, რასაც მიაღწიეს იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც ცოდნა სწორედ აქ გაიღრმავეს და განიმტკიცეს. ყველა მათგანი დღეს ცნობილი და ძლიერი უნივერსიტეტების სხვადასხვა გრანტის მფლობელი სტუდენტები არიან, რაც საამაყოა. საუკეთესო შედეგები აქვთ საჯარო სკოლის იმ მოსწავლეებს, რომლებიც გახანგრძლივებული დღის რეჟიმით ამ ცენტრში მეცადინეობენ. ამ ინფორმაციამ საუბარი განათლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობის განხილვისკენ წაიყვანა. უმრავლესობამ გამოთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ დღეს საჯარო სკოლები ვერ ახერხებენ, მოსწავლეს მისცენ იმ დონის განათლება, რომ მათ აღარ დასჭირდეთ რეპეტიტორთან გადამზადება. ამას კი მრავალი მიზეზი განაპირობებს: მოსწავლეთა დიდი ნაწილი, ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, სწავლის უპირატესობის პერსპექტივას ვერ გრძნობს და გაკვეთილებს ინტენსიურად აცდენს, პედაგოგთა ერთი ნაწილი არაკვალიფიციურია, იმის გამო, რომ პედაგოგობა დღეს მიმზიდველი და პრესტიჟული სპეციალობა არ გახლავთ, რადგან ის დაძაბულ და მძიმე შრომას მოითხოვს, ანაზღაურება კი დაბალია, ამიტომ პედაგოგიურ ფაკულტეტს ირჩევენ სკოლიდანვე სუსტი მომზადების ბავშვები და სპეციალისტსაც შესაბამისს ვღებულობთ. პედაგოგიურ კოლექტივში იშვიათად შეხვდებით მამაკაცებს, რაც დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ჩამოყალიბებაზე.(როგორც ბავშვს სრულფასოვნებისთვის სჭირდება დედაც და მამაც, ასევეა სასწავლო დაწესებულებაშიც, სადაც ბავშვის სულიერი და ფიზიკური წრთობა მიმდინარეობს). განათლების სისტემაზე მსჯელობით გული რომ “მოიოხეს”(უმრავლესობა მათგანი ყოფილი პედაგოგი გახლდათ), ძირითადი ღონისძიებაც დაიწყო.

პირველი სიტყვა დაწყებითი კლასების ყოფილ პედაგოგს, უამრავი ნოვაციის ავტორს და საუკეთესო სპეციალისტს ცისანა მჭედლიშვილს დაეთმო. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა მეუღლე შოველი ქადაგიძე, მატემატიკოსი, N1 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი.

- მეუღლეზე ლაპარაკი ცოტა რთულია, არა იმიტომ, რომ უხერხულია, არამედ იმიტომ, რომ ძნელია, შესაფერისი სიტყვა მოუძებნო იმ შეხედვას, იმ შეხებას, იმ თანადგომას, იმ მზრუნველობას, პატივისცემას და უსიტყვო გაგებას, რომელიც ყველა ნორმალურ წყვილს ერთმანეთთან აკავშირებს. აი ასეთ ვითარებაში გავზარდეთ ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, არცერთ მათგანს არასოდეს გულსატკენი არაფერი ჩაუდენია და ჩვენც ეს გვეამაყებოდა. ვთვლიდით, რომ ჩვენი ვალი ქვეყნის და ერთმანეთის წინაშე პირნათლად მოვიხადეთ. ვინც მიცნობს, ყველამ იცის ჩემი ბობოქარი ბუნება, მიუხედავად შოველის აზიატური ხასიათისა და ცხოვრების წესისა, არასოდეს მიშლიდა ხელს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ბევრი ფარული შეხვედრა და თავგადასავალი მახსოვს ათწლიანი სასიყვარულო ურთიერთობიდან, ხან თბილი, ხან ჯიბრიანი, ხან მოულოდნელობებით აღსავსე და, მიუხედავად ჩემი ოჯახის წინააღმდეგობისა (თბილისიდან პროვინციაში გადმოხვეწის მოტივით), ჩვენ მაინც დავოჯახდით და თავიდან რომ შემეძლოს არჩევანის გაკეთება, არაფერს არ შევცვლიდი, - ამბობს ქალბატონი ცისანა.

ცისანასგან ესტაფეტა მერი თარაშვილზე გადავიდა, იგი პროფესიით პედაგოგი გახლავთ, ათეული წლები მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი იყო, შემდეგ კი პედაგოგთა პროფკავშირს ედგა სათავეში. მის თაობას ახსოვს ლამაზი, ცქრიალა, დედისერთა, გემოვნებით ჩაცმულ-დახურული მშვენიერი ქალიშვილი და მისი მგზნებარე სასიყვარულო თავგადასავლები თვალ-ტანად აღნაგი, სიცოცხლით და ხალისით სავსე ვაჟისა, რომელსაც ღმერთმა მრავალმხრივი ნიჭი დააბერტყა. დათუნი სინჯიაშვილი თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ბიჭი იყო -თამაშობდა ფეხბურთს, მღეროდა, ცეკვავდა, მსახიობობდა, სიტყვამრავალს კარგი თამადის სახელი ჰქონდა , უყვარდა მთელ რაიონს, კაცურად იცხოვრა. 60 წლის, სრულიად მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან და კოლორიტი პიროვნების „ტიტული“ დაუტოვა შთამომავლობას.

- საერთოდ დაცვაში თამაშობდა დათუნი ფეხბურთს. იმ დღეს ბედი არ სწყალობდა წითელწყაროს „შირაქს“. ფრედ ამთავრებდა თამაშს, რაც ძალიან არ აწყობდა. მაყურებელთა შორის ფერიასავით იჯდა თეთრ კაბასა და ჩალის ქუდში გამოპრანჭული მისი გულის სწორი. (ქალბატონ მერის წითელწყაროს მედეა ჯაფარიძეს ეძახდნენ). უკანასკნელ წუთებზე თავდაცვიდან თავდამსხმელთა რიგებში მოულოდნელად შეიჭრა დათუნი და სანატრელი გოლით დააგვირგვინა თამაში. ეს შენ გაიტანე გოლი, - უთხრა სიხარულით აწითლებულ მერის გუნდის კაპიტანმა და მადლობის ნიშნად გადაეხვია, - იხსენებს ცისანა მჭედლიშვილი ერთ-ერთ ეპიზოდს მერისა და დათუნის ცხოვრებიდან. თვალზე ცრემლმომდგარი ქალბატონი მერი კი ვერაფრით ახერხებს ყელში გაჩხერილ სევდას მოერიოს, აქცენტს შვილებსა და შვილიშვილებზე აკეთებს: - ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი მყავს და მათ ბედნიერებას შევთხოვ უფალსო, - ამბობს იგი.

„სიყვარულისთვის გამაჩინა მაღალმა ღმერთმა და ლექსის მუზად მომიჩინა ქალის ბუნება, რაც იყო... იყო, ყველაფერი წარმავალია, მაგრამ სიკვდილით სიყვარული მაინც არ ქრება” ცისანა მჭედლიშვილი, ექსპრომტი.

დაუჯერებელ სასიყვარულო ისტორიებს ყვება ნათელა პოპიაშვილი და სახე ისე აქვს შეფაკლული, თითქოს ახლაც სკოლის მერხზე ზის და სხვებისგან ფარულად უთვალთვალებს გულის რჩეულს, რომელიც საპასუხო მზერას უბრუნებს და ეს არის მათი ყველაზე დიდი “დანაშაული”. ეს “დანაშაული” ათეული წლები გაგრძელდა, არენაზე შემოვიდნენ შვილები, შვილიშვილები, მაგრამ... ფერი არ დაუკარგავს იმ დიდ გრძნობას, რომელიც უფლისგან ერთმანეთისთვის შექმნილი ორი ადამიანის გულში დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

- სიყვარული გრძნობა არ არის, სიყვარული ნიჭია, ეს ნიჭი უფალმა უნდა დაგანათლოს. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ეს ამაღლებული გრძნობა ჩემში არსებობს. ჩემი მეუღლე გურამ ბენაშვილი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. შეხმატკბილებულად და ჰარმონიულად ვიცხოვრეთ. წინააღმდეგობებით აღსავსე იყო ჩვენი სიყვარული და ცხოვრება, ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ ერთად. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ჩემთვის მისი მოულოდნელი გარდაცვალება. მაგრამ ფიზიკური განშორებით არ დამთავრებულა ჩვენი გრძნობა. მე დღესაც, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკშიც, ისევე გულწრფელად მიყვარს და პატივს ვცემ მის ხსოვნას. მე იმას ვერ ვეგუები, სიკვდილს ხელიდან რომ ვერ გამოვტაცე, თანამედროვე ახალგაზრდები კი სულ უბრალოდ, პატარა მიზეზის გამო თმობენ იმ ადამიანს, გუშინ ასე ძალიან რომ უყვარდათ, მოვუწოდებ ახალგაზრდებს, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის გრძნობებს,-ბრძანა ქალბატონმა ნათელამ.

ფერი-ფერსა და მადლი ღმერთსაო, ამბობდნენ არხილოსკალოში ნათელა ღრუბელაშვილის და მიშა კოზაიძის შემხედვარენი. ზურიკელას და მერის სიყვარულს ჰგავდაო მათი სიყვარული, რომელიც ვერცრანაირმა სტუდენტურმა გატაცებებმა და დიდი ქალაქის ორომტრიალმა ვერ გადასძალა. ბედნიერად იცხოვრეს, ერთად ზიდეს სოფლის მეთაური ოჯახის არცთუ მსუბუქი ტვირთი, სამი საუკეთესო შვილი გაუზარდეს ქვეყანას. შვილებითა და შვილიშვილებით გაიხარეს, მაგრამ... უკვე მოგონებად იქცა ის თბილი და ტკბილი წლები, რომელსაც დავიწყების ნისლი არასოდეს დაფარავს.

ორი მცირეწლოვანი გოგონა დარჩა სტომატოლოგ ეკა გიორგანაშვილს, როცა მისი მეუღლე და კოლეგა ილია ქურციკიშვილი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

- ასე მეგონა ჭერი ჩამოწვა, მხრებზე დამეცა და ჩამიტანა, ფეხზე წამოდგომას თუ შევძლებდი, არც კი მეგონა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, შენგან ფიზიკურ აქტივობას ითხოვს. გარეგნულად, დროთა ვითარებაში, ყველაფერი თითქოს ლაგდება, თუმცა, ტკივილი გულის სიღრმეში იბუდებს და დრო და დრო თავს გახსენებს მონატრების, მოგონებების, სიცარიელის სახით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოფელ ოზაანში გამომაგზავნეს სამუშაოდ, მაშინ ილია რაიონის მთავარი სტომატოლოგი იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენ აქ ერთმანეთს ვერ შევხვდით. მალევე კვალიფიკაციის კურსებზე წავედი თბილისში და ილიაც იქ გავიცანი. ძალიან კარგი ადამიანი იყო, საუკეთესო მეუღლე და მამა, მთელმა რაიონმა დაიტირა ახალგაზრდა კაცი, ასევე მთელი რაიონი და მისი სამეგობრო დამიდგა მხარში, ჩემი შვილები ღირსეულად რომ გამეზარდა. მადლობელი ვარ ყველასი. ძალიან კარგი ჩანაფიქრი არის დღევანდელი ღონისძიება, ერთმანეთი ვნახეთ, მოვეფერეთ, კარგი დღეები გავიხსენეთ, პატივი მივაგეთ მეუღლეების ხსოვნას, ჩვენ ხომ ყველა ისედაც კარგად ვიცნობდით ერთმანეთს,-კმაყოფილებით აღნიშნა ქალბატონმა ეკამ.

ღონისძიება შეაფასეს მწიგნობართა ასოციაციის წევრებმა: რეგინა ჯანიაშვილმა, ესმა პოპიაშვილმა, ციცო ფიროსმანაშვილმა, კლარა ოზაშვილმა, მზია წყარუაშვილმა, მათაც მრავლად გაიხსენეს ამ ლამაზი წყვილების ცხოვრების ეპიზოდები.

- ბრძენს უთქვამს: მოგონებები ის ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ვერავინ გამოგაგდებსო, თქვენც ახლა იმ სამოთეში ცხოვრობთ, თითოეული თქვენგანი მათთან ერთად თქვენი ოჯახის ბურჯები იყავით და ახლა მათ ხსოვნას უკვდავჰყოფთ, მათი სიცოცხლე კი შვილებში და შვილიშვილებში გრძელდება , - თქვა ქალბატონმა ციცომ.

ყველა მონაწილემ გამოხატა კმაყოფილება ამ ღონისძიების ორგანიზატორის ნანა ჭიჭინაძის მიმართ, რომელიც ენთუზიაზმზე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ხშირად აწყობს ორიგინალურ შეხვედრებს.

სევდიანი მოგონებები გაახალისა N1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის წარჩინებული მოსწავლის ქეთი ჩაფიაშვილის მიერ ფანდურზე შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და პროფესორ მანანა დოიჯაშვილის მიერ დისკზე ჩაწერილმა შუმანის, ლისტის და დებიუსის კლასიკურმა საფორტეპიანო ნაწარმოებებმა.

დასასრულს, ქალბატონებმა ღონისძიების სპონსორის ირინა მერაბიშვილის მიერ მორთმეული ტორტი „მოგონებები“ დააგემოვნეს, თითო ბოკალ შამპანურს თავი წაუქციეს და მათი სულის სახსენებელი თქვეს, ვინც კაცურად იცხოვრა, ვინც ქალის ფასიც იცოდა, სიყვარულისაც, ოჯახისაც და ვინც თავისი ცხოვრებით ამინდი შექმნა რაიონში.

ნაირა გორაშვილი

გზა – პანკისიდან სირიამდე

რატომ მოხვდნენ „შავ სიაში“ პანკისელები?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ „საერთაშორისო ტერორისტთა“ 10-კაციან სიაში, კერძოდ კი, სირიაში მოქმედ განსაკუთრებულ საშიშ ექსტრემისტ ლიდერთა შორის, საქართველოს მოქალაქე, პანკისელი მურად მარგოშვილიც ფიგურირებს. ეს უკვე ამერიკის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მეორე სიაა, რომელსაც წინ უძღოდა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებული 11-კაციანი სია, რომელშიც პანკისის ხეობის კიდევ ერთი მკვიდრი, თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ შიშანი, მოხვდა.

როგორ და რა მიზნით მიდიან სირიაში პანკისის მკვიდრნი და რას ამბობენ ადგილობრივები ამ ამბავზე?

ე.წ. „შავ სიაში“ შესულ ადამიანებს აშშ მიაკუთვნებს იმ „განსაკუთრებული მნიშვნელობის საერთაშორისო ტერორისტებს“, რომლებიც თანამშრომლობენ, მონაწილეობენ და ფინანსურად და მატერიალურად აძლიერებენ სირიაში მებრძოლ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს. კონკრეტულად მურად მარგოშვილს კი სახელმწიფო დეპარტამენტი უწოდებს სირიაში მოქმედ ჩეჩენთა ლიდერს, რომელმაც თურქეთის საზღვართან ექსტრემისტთა საწვრთნელი ცენტრი დააარსა. თარხან ბათირაშვილი 2005-2009 წლებში საქართველოს არმიის უმცროსი ოფიცერი იყო, რომელმაც „ისლამურ სახელმწიფოში“ მაღალ სამხედრო თანამდებობას მიაღწია და ბოლო წლების განმავლობაში, ჩეჩნებისა და სხვა კავკასიელებისგან შემდგარი რაზმით, რამდენიმე მსხვილ სამხედრო ოპერაციასაც უხელმძღვანელა.

პანკისის ხეობაში იმყოფებოდა რუსულენოვანი პროგრამის „ეხო კავკაზას“ ჟურნალისტი ზვიად მჭედლიშვილი, რომელიც ამბობს, რომ პანკისელები ამ საკითხზე ღიად საუბარს ერიდებიან და დიდად არც ჟურნალისტების ყურადღება სიამოვნებთ. რაც შეეხება ე.წ. „შავ სიას“, რომელშიც თარხან ბათირაშვილი და მურად მარგოშვილი მოხვდნენ, მათ საკუთარი მოსაზრებები აქვთ:

„თარხან ბათირაშვილზე დიდად არც გაჰკვირვებიათ, თქვეს, რომ ის საკმაოდ ოდიოზური საველე მეთაურია, აი, მურადის ამბავი კი გაუკვირდათ, რადგან მას ყველა იცნობს როგორც მშვიდ, გაწონასწორებულ ადამიანს. ცნობილია, რომ ის ჩეჩნეთში იბრძოდა, შემდეგ რუსეთის უშიშროების სამსახურის მიერ იყო დაკავებული 2003 წელს, მისმა ნათესავებმა გამოისყიდეს დიდი ფულით და მას მერე ცხოვრობდა პანკისში. ჩვენ გავესაუბრეთ მის ნაცნობ პიროვნებას, რომელმაც გვითხრა, რომ ის წელიწად-ნახევრის წინ გაემგზავრა პანკისის ხეობიდან. ასევე დაგვიდასტურეს, რომ მართლაც წვრთნის მეამბოხეებს, და გამოთქვეს ვარაუდი, რომ სწორედ ამის გამო შეიყვანეს ‘შავ სიაში’“.

მეორე მიზეზი, ამბობს ზვიად მჭედლიშვილი, რის გამოც ხეობას ტოვებენ, იქ არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია - ხალხს ძალიან უჭირს, უმრავლესობა სამუშაოდ თუ სასწავლებლად წასვლას ვერ ახერხებს. ეს გზა კი, სირიისკენ, შესაძლოა იყოს მათი იქიდან გასვლა-გაღწევის ერთადერთი გზა. შესაძლოა, იყოს ფინანსური დაინტერესებაც.

ჩვენი რესპონდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და რომელსაც აბდულად მოვიხსენიებთ, ზვიად მჭედლიშვილის შეკითხვაზე, რა არის სირიაში პანკისის ხეობის მცხოვრებთა წასვლის მთავარი მიზეზი, პასუხობს, რომ ეს არის იდეა და რწმენა იმისა, რომ ისინი ასადის რეჟიმთან ბრძოლაში სირიელ ხალხს, მოძმე მუსლიმებს ეხმარებიან.

„როგორ მიდიან? როგორც წესი, საკუთარ გულის ძახილს მიჰყვებიან. თუ ჩვენ რაღაცნაირად შეგვიძლია გავაკრიტიკოთ ღარიბი პანკისიდან იქ წასული ახალგაზრდები, ამას ვერ ვიტყვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან წასულებზე, ხომ ასეა? მორწმუნეებისათვის ეს ძალიანაც გასაგები გადაწყვეტილებაა. მათთვის კი, ვისაც ღმერთი არ სწამს, ეს ძნელი გასაგებია, რომ მორწმუნეები მიდიან საკუთარი სურვილით სირიელი ხალხის დასახმარებლად“.

აბდულა ამბობს, რომ მან სირიაში პანკისის ხეობიდან წასული დაახლოებით ათი ადამიანი იცის, რომელთაგან რამდენიმე უკვე დაღუპულია. რადიო თავისუფლებამ მას ასევე ჰკითხა, შეხვედრია თუ არა ის თავად ან სმენია თუ არა სირიიდან დაბრუნებული პანკისელების შესახებ, ვინც იქ გარკვეული გასამრჯელოს მისაღებად წავიდა და უკან დაბრუნდა, რაზეც აბდულა ასე პასუხობს:

„იყო ჭორები, ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაც დაბრუნდა, სახლი იყიდა თუ ტელეფონი... მაგრამ ეს წვრილმანებია. რომც ეყიდა რაღაც 5 000 დოლარად სახლი, აუცილებელი არ არის, ომიდან ჩამოტანილი ფულით ეყიდა. თუმცა ამბობენ, რომ იქ ყველაფერი ძალიან ძვირია - იარაღი, სამხედრო მასალები - და შეიძლება დავუშვათ, რომ ვიღაცამ მართლა გაყიდა და ამაში ფულიც აიღო. თუ ვინმე ამისთვის მიდის, ესეც მისი პირადი საქმეა“.

აბდულას თქმით, ძნელია გაარჩიო, ადამიანი სასწავლებლად მიდის საზღვარგარეთ, საბრძოლველად თუ სამუშაოდ. შესაძლოა, რამდენიმე დღის წინ სირიაში დაღუპული ბესო კუშტანაშვილიც თურქეთში თავიდან სწორედ საშოვარზე წავიდა და შემდეგ გეგმები შეეცვალა, ფიქრობს აბდულა. გამოსავალს კი იმაში ხედავს, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩნები და ქისტები რეალურად უნდა დაკავებულნი იყვნენ რაღაც საქმით, თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება უნდა შეძლონ და თავი ამ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად იგრძნონ. ეს მათ ნაწილს მაინც შეაჩერებს, არ მიიღონ სირიაში წასვლის გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილი გახდა, სირიაში დაბომბვის დროს დაიღუპა პანკისის ხეობის სოფელ ომალოს მკვიდრი 18 წლის ბესო კუშტანაშვილი. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სირიაში საბრძოლველად დაახლოებით 50-60 ახალგაზრდაა წასული, ხოლო ბესო კუშტანაშვილი პანკისელ მებრძოლებს შორის უკვე მეექვსეა, ვინც სირიაში დაიღუპა. კახეთის საინფორმაციოს ცენტრის ცნობითვე: „კუშტანაშვილის ახლობლების თქმით, მშობლებმა არ იცოდნენ, რომ მათი შვილი სირიაში იმყოფებოდა. ნათესავების თქმით, გაზაფხულზე კუშტანაშვილი სოფელ ომალოში ბოლო ზარს დაესწრო, შემდეგ კი და-ძმასთან ერთად სამუშაოდ თურქეთში წავიდა, სადაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ხშირად დადიოდა“.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის ექსპერტი მაიკლ ჩეჩირე „ამერიკის ხმასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ხაზინის გადაწყვეტილება კოორდინირებული სტრატეგიის ნაწილია. სტრატეგია ამ ადამიანებისა და მათი ორგანიზაციების იზოლაციასა და ფინანსური წყაროების გადაკეტვას ითვალისწინებს. ჩეჩირეს ვარაუდით, „თარხან ბათირაშვილი ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს, მაგრამ “შავ სიაში” მისი შეყვანა აღნიშნული ორგანიზაციებისათვის ყველა შესაძლო არხის დახურვას ისახავს მიზნად. ექსპერტის აზრით, სირიაში საქართველოდან წასული 20-30 კაცი იბრძვის, რომელთა უმრავლესობა ჩეჩენი ან პანკისელი ქისტია“.

პარალელურად, ამერიკულმა გამოცემამ ფორეიგნ ფოლიცყ-მ მკითხევლს 23 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის ახლებური ვერსია შესთავაზა. გამოცემა წერს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში მათ მიერ გავრცელებულ სტატიას საქართველოში სირიელი მეამბოხეებისთვის საწვრთნელი ცენტრის განთავსების შესახებ საჯარო უკმაყოფილება მოჰყვა, საქართველოს ხელისუფლებამ უკან დაიხია და შეთავაზება უარყო.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მყოფმა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი განაცხადა, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში საქართველო სიმბოლურად იქნება ჩართული და მხოლოდ ჰუმანიტარულ მისიას შეასრულებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაეროში გამართული შეხვედრებისა და დაგეგმილი გამოსვლის შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიუ-იორკიდან გამოეხმაურა „ფორეიგნ ჭოლიცყ„-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის მიხედვითაც, საქართველომ აშშ-ს სირიელი მებრძოლების მომზადება შესთავაზა. მისი თქმით საქართველოში არავითარი ტრენინგ-ცენტრის შექმნა არ იგეგმება და კოალიციაში მონაწილეობა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლება.

„საქართველოს მონაწილეობა კოალიციაში იქნება სიმბოლური. უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე შევთანხმდით, რომ საქართველოს კონტრიბუცია ამ კოალიციაში იქნება მხოლოდ ჰუმანიტარული. არავითარი სამხედრო დახმარება არ იგეგმება, არც ერთი სამხედრო არ იქნება წარმოდგენილი,„- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზეც ილაპარაკა. მისი თქმით, საქართველო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ღირსეულად არის წარმოდგენილი.

„ვიზიტის ფარგლებში მე მქონდა ასევე შეხვედრები ქუვეითის პრემიერთან, საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ევროპელ ლიდერებთან, ასევე საშუალება მქონდა გავსაუბრებოდი აშშ-ის პრეზიდენტს. მიღების ფარგლებში ვისაუბრეთ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე,„- აღნიშნა პრემიერმა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

თუშეთის გზაზე მანქანა ხევში გადავარდა, სავარაუდოდ 4 ადამიანია გარდაცვლილი

თუშეთის გზაზე, უღელტეხილამდე, ე.წ. „ბოთლის წყალთან“ „პიკაპის“ მარკის მანქანა დიდი სიმაღლიდან ხევში გადავარდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს თუშეთიდან აცნობეს, მანქანაში სავარაუდოდ 4 ადამიანი იჯდა. გზაზე გამვლელებმა ჯერ მხოლოდ ერთი მგზავრის ცხედარი იპოვეს, რომელიც ხევში გადავარდნის დროს სავარაუდოდ მანქანიდან გადმოვარდა. ხევი იმდენად ღრმაა, რომ მანქანა და დანარჩენი მგზავრები ჯერ ვერ უპოვიათ.

კახეთის სამაშველო სამსახურის უფროსმა გიორგი რუაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ მაშველები თუშეთში სატელეფონო ზარის მიღებისთანავე გაემგზავრნენ, თუმცა შემთხვევის ადგილზე ჯერ არ მისულან.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს თუშეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ვაჟა შაბალაიძემ განუცხადა, მანქანაში სავარაუდოდ ზემო ალვანში მცხოვრები თუშები ისხდნენ.

დამატებითი ინფორმაციის მიღება რთულია, რადგან შემთხვევის ადგილზე სატელეფონო კავშირი არ არის, თუშეთის გზაზე აბანოს უღელტეხილამდე ტელეფონს მხოლოდ ერთ ადგილზე აქვს მიღება.

თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზა თელავის რაიონის სოფელ ფშაველიდან იწყება. სოფელ ომალომდე 72 კილომეტრია. სტორის ხეობიდან აბანოს უღელტეხილამდე საავტომობილო გზის დიდი ნაწილი კლდეებზეა გაჭრილი. გზა მეწყერსაშიშ ზონაშიც გადის. მუდმივად არსებობს კლდის ჩამოშლის და გზის ჩანგრევის საფრთხე. მგზავრობას ისიც ართულებს რომ გზის ნაწილი ჩამოშლილი ქანებისგან გასანმენდია, ნაწილზე კი მთის მდინარეები მოედინება, რაც სავალი ნაწილის ჩაშლის რისკს ზრდის.

თუშეთის გზა ერთერთი ყველაზე სახიფათო გზაა საქართველოში. სახიფათო გზის გამო ბევრი ადამიანი დაიღუპა. გზა ღია მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდეა. უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო გზა 6 თვის განმავლობაში იკეტება ხოლმე.

დაუცველი ბავშვები კვლავ ზრუნვის გარეშე

ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 2013 წელს დაწყებული ერთობლივი პროექტი, სახელწოდებით "ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე საქართველოში" , რომელიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დახმარებას, მათ რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას ისახავს მიზნად, დასასრულს უახლოვდება - დეკემბერში ორწლიანი პროექტი სრულდება და მის შემდგომ გაგრძელებაზე უკვე სახელმწიფომ დამოუკიდებლად უნდა იზრუნოს. როგორია შედეგები პროექტისა, რომელშიც ათობით ადამიანი იყო ჩართული და რომლის საერთო ღირებულება 800 000 ევროს შეადგენდა? ასეულობით ქუჩაში მცხოვრები ბავშვიდან რამდენმა შეცვალა ცხოვრების წესი და დაუბრუნდა საზოგადოებას? ჯერჯერობით სურათი არც ისე დამაიმედებელია.

სამი თვეც და, პროექტი, რომელიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ქუჩიდან ჩამოშორებას ისახავს მიზნად, დასრულდება. ამ ორ წელიწადში საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახს მხოლოდ ერთი ბავშვი დაუბრუნდა, შვიდი კი მეურვე ოჯახებში გადანაწილდა და დღეს იქ ცხოვრობენ. ზუსტად არავინ იცის, რამდენი ბავშვი რჩება გარეთ, თუმცა, 2008 წლის მონაცემით, ასეთ ბავშვთა რიცხვი, მთელი საქართველოს მასშტაბით, 1000-სს აღემატებოდა. ბავშვები ქუჩაში ისევ დგანან, - უმეტესობა მოწყალებას თხოულობს, ნაწილი რაღაცას ყიდის, - პროექტი კი სრულდება.

ეს ორი წელი, როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ქეთი მელიქაძე ამბობს, ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემის მოგვარების ერთგვარ ბიძგად შეიძლება ჩაითვალოს - ეტაპად, როცა სახელმწიფო ქმნის იმ მომსახურებებს, რომელთა დახმარებითაც ბავშვებმა ნელ-ნელა ქუჩა უნდა მიატოვონ. ეს მომსახურებებია: მობილური ჯგუფი, რომელიც ქუჩაში ამყარებს პირველ კონტაქტს ამ ბავშვებთან - ცდილობს ისინი დაარწმუნოს, რომ არსებობს ისეთი სამსახური, რომელიც მათ განვითარებას და უკეთ ყოფნას წაადგება; ასეთი არის დღის ცენტრი ბავშვებისათვის, რომელსაც სადღეღამისო მომსახურებაც ახლავს; ასეთი დღის ცენტრი თბილისში სულ ორია, დაგეგმილია მესამის გახსნაც - ქუთაისში; იქ ბავშვს გამოკვებენ, დაბანენ, სამედიცინო მომსახურებას გაუწევენ და ა.შ.; მესამე ტიპის მომსახურებაა ე.წ. ტრანზიტული სადღეღამისო ცენტრი, სადაც ბავშვებს უკვე გრძელვადიან საცხოვრისში გადასაყვანად ამზადებენ; თუ ეს შესაძლებელია, პარალელურად სპეციალისტები მის ბიოლოგიურ ოჯახთანაც მუშაობენ - ისინი ცდილობენ ბავშვის რეინტეგრაციას და უკან, ოჯახში, დაბრუნებას; თუ ეს არ გამოდის, ბავშვი მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრებელში გადაჰყავთ. ასეთია ის გზა, რომელსაც ქუჩის ბავშვები გადიან ქუჩის მისატოვებლად.

ქეთი მელიქაძე ამბობს, რომ, 2008 წლის მონაცემებით, საქართველოს ოთხ დიდ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი) დაახლოებით ათასზე მეტი ქუჩაში მცხოვრები ბავშვია აღრიცხული (დღეს მათი ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის). მისი ვარაუდით, ამ რიცხვის შესამცირებლად ქვეყანაში არანაირი წინაპირობა არ არსებობს, თუმცა პროექტი იმედს აძლევს, რომ ეტაპობრივად სახელმწიფო შეძლებს ამ პრობლემის დაძლევას:

„დღეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ზუსტი რიცხვი არ ვიცით, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავისთავად ის, რომ სისტემა შეიქმნება, რაც აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ნელ-ნელა ჩვენ ყველა ბავშვს მივწვდებით, რომელიც დღეს ქუჩაშია, და მონაცემთა ბაზაც შეიქმნება და მართვის სისტემაც უფრო მოქნილი გახდება. რაც შეეხება შედეგებს, თუ ადრე ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები იმის მიხედვით, ვის რა თანხა ჰქონდა, სთავაზობდნენ სხვადასხვა მომსახურებას ამ ბავშვებს, დღეს უკვე არსებობს სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ არსებული სისტემა და მომსახურებები“.

2013 წლის აგვისტოდან ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან სამი მობილური ჯგუფი მუშაობს. მასში შედიან: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ადმინისტრაციული მუშაკი (მძღოლი) და თანასწორ-განმანათლებელი, ანუ ბავშვი, რომელსაც ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა, დღეს კი მობილურ ჯგუფს თავისნაირ ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებაში ეხმარება. ანა ჯველაური ერთ-ერთი ასეთი მობილური ჯგუფის სოცმუშაკია.

„ჩვენ სულ ვეძებთ. როცა ველზე გასვლის დღე გვაქვს, დავდივართ და ქუჩაში ვეძებთ ასეთ ბავშვებს. ჩემი სამუშაო ტერიტორია, მაგალითად, ვაკე-საბურთალოს მონაკვეთია. თუ სადმე ასეთ ბავშვს შევნიშნავთ ან ქალს, ბავშვით, მასთან მივდივართ. იქვე ვწყვეტთ ხოლმე: ქალთან უფრო ქალი მიდის დასალაპარაკებლად, თუ ბავშვი ბიჭია, - კაცი. უფრო ადვილად გვეკონტაქტებიან. როცა ღიმილით და კეთილგანწყობით უახლოვდები და დალაპარაკების ნებართვას სთხოვ, თვითონაც ინტერესდებიან და ამ ურთიერთობას თანხმდებიან, რადგან მათთვის ძალიან უცნაურია, როცა უცხო ადამიანი ულიმის. მათ სწორედ ეს სითბო აკლიათ, ისინი არავის აინტერესებს, არავის უყვარს, მშობლები კი, სხვადასხვა მიზეზით, ხშირად აკლებენ ყველაზე მთავარს - ზრუნვას...“

შემდეგი ნაბიჯი უკვე ბავშვის ოჯახში მისვლა და იქ არსებული ვითარების გაცნობაა. ზოგი ბავშვი ქუჩის დატოვებაზე უარს ამბობს, თუმცა ანა საკუთარი გამოცდილებიდან იხსენებს ერთ შემთხევვას, როდესაც ორი ძმა მინდობით აღზრდაში გადაიყვანეს. მათ მშობლებიც აკითხავენ და, რაც მთავარია, ქუჩა მიატოვეს.

უკვე შექმნილია ინფრასტრუქტურა, შენობები გარემონტებულია, სპეციალისტები -დატრენინგებული, მობილური ჯგუფები - შექმნილი, ბავშვების ნაკლებობა კი ქუჩებში ჯერჯერობით მაინც არ იგრძნობა. დეკემბრის შემდეგ ამ პრობლემაზე ზრუნვა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადადის: ჯანდაცვის სამინისტროს ბრძოლა მოუწევს ყველა სხვა უწყებასთან ერთად - იქნება ეს შსს, განათლების სამინისტრო თუ სხვა. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი ეკა ჯავახიშვილი ამბობს, რომ დღეს საქართველოში ორი დღის ცენტრი, ორი ტრანზიტული ცენტრი და ერთი კრიზისული ინტერვენციის ცენტრი მოქმედებს. რაც შეხება გაწეულ დახმარებას:

„დღის ცენტრებში ამ დრომდე მოემსახურნენ 53 ბავშვს, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში 16 ბავშვია ამჟამად, ხოლო ტრანზიტული მომსახურების ცენტრებში 15 ბავშვია. სულ პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწია 350 ბავშვს. მინდობით აღზრდაში გადავიყვანეთ 7 ბავშვი, ყველა მომსახურება სრულყოფილად გაიარა ერთმა ბავშვმა. საქმიანობის ტიპის მიხედვით თუ დავყოფთ ამ ბავშვებს, მათი 47% ითხოვს მოწყალებას ქუჩაში, წვრილმანი ვაჭრობით 20%-ია დაკავებული და სხვადასხვა საქმიანობით - 33%. ამ ბავშვების უმთავრესი პრობლემა არის დოკუმენტაციის უქონლობა. მათ 32%-ს დავუმზადეთ უკვე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ჯერ კიდევ არის 41%, რომელსაც არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. ოჯახში დაბრუნებული, ანუ რეინტეგრირებული, ჯერჯერობით გვყავს მხოლოდ ერთი ბავშვი, მინდობით აღზრდაში კი 7 ბავშვია“.

ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, წესით, შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს. როგორც ამ უწყების საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენელი მაკა ფერაძე აღნიშნავს, ამ დროისათვის თბილისში 200 პოლიციელს ჩაუტარდა სპეციალური ტრენინგი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან მიმართებით, როცა ამის საჭიროება ჩნდება. თუმცა ჯერჯერობით, საკანონმდებლო ხარვეზებისა თუ შესაბამისი ბერკეტების უქონლობის გამო, პოლიცია კონკრეტულ შედეგებს ვერ ასახელებს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების დამცველები უკვე წლებია ლაპარაკობენ ტრეფიკინგის - შრომითი იძულების - ნიშნებზე ამ ბავშვების საქმიანობაში, იმაზე, რომ შესაძლოა მათ ნაწილს ორგანიზებული ჯგუფი მართავდეს, პოლიციას ჯერჯერობით ასეთი არც ერთი ჯგუფი არ გამოუვლენია. მათხოვრობა კანონით არ ისჯება, ამბობს მაკა ფერაძე. თუ სამართალდამცავებს კონკრეტული განცხადებით არ მიმართა ვინმემ, სადაც დანაშაულის ნიშნებზე იქნება საუბარი, პოლიცია, ფაქტობრივად, უძლურია - ბავშვები კი ხშირ შემთხევვაში აცხადებენ, რომ ისინი საკუთარი ნებით მუშაობენ ან მათხოვრობენ:

„ამ ჯგუფთან, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, არ გამოკვეთილა ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, არც გამოძიება დაწყებულა ტრეფიკინგის მუხლით. იყო ამ ორი წლის განმავლობაში ძალადობის რამდენიმე შემთხვევა, საქმეც აღიძრა, მაგრამ მალევე შეწყდა, რადგან მოძალადეები იყვნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკსმიუღწეველი, 14 წლამდე პირები“, - ამბობს მაკა ფერაძე.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და გადაუჭრელ პრობლემად მიაჩნია ანა აბაშიძეს, დირექტორს ორგანიზაციისა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“. ის, წლებია, თავადაც ამ თემატიკაზე მუშაობს. ანა აბაშიძე ამბობს, რომ მას აქვს საფუძველი სკეპტიკურად იყოს განწყობილი, რადგან ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ არაერთი პროგრამა წამოიწყო, ამჟამად მიმდინარე პროგრამის ანალოგიური მიზნით, მაგრამ ორი წლის შემდეგ, როცა ეს პროგრამები სრულდებოდა, პრობლემა პრობლემადვე რჩებოდა. ანა აბაშიძის ვარაუდით, არსებობს რისკი, რომ, როცა ეს პროექტი დასრულდება და სახელმწიფოს აღარ ეყოლება, დონორის სახით, მკაცრი მაკონტროლებელი, პრობლემას ისევ თავის ნებაზე მიუშვებს. მისი აზრით, ერთ-ერთი პრინციპული საკითხია სახელმწიფომ ამ პრობლემას სწორი სახელი დაარქვას:

„რა სახელს არქმევს სახელმწიფო დღეს ამ პრობლემას? ის ამბობს, რომ ესენი არიან სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომლებიც ქუჩაში სიდუხჭირემ გამოიყვანა. აი, აქ არის შეცდომა. ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები, დიდი ალბათობით, არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ტრეფიკინგისა, რომელიც ადამიანით ვაჭრობას ნიშნავს. ამის იდენტიფიცირება არცთუ ისე ძნელია. იცით, რატომ? ტრეფიკიორმაც კი არ იცის, რომ ტრეფიკინგია, რასაც ის აკეთებს. რა თქმა უნდა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სპეციალურად აკეთებინებენ ამას ბავშვებს ისე, რომ მათი ოჯახის წევრებს საერთოდ არ უკავშირდებიან. სწორედ ეს უნდა აღიაროს სახელმწიფომ. იქნებ მისთვის ბიძგი გახდეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო ანგარიშიც, სადაც პირველად ჩაიწერა პირდაპირ საქართველოს შესახებ თავში, რომ ეს არის ტრეფიკინგის სერიოზული რისკი. აი, ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ პრობლემასთან ბრძოლაზე, როცა მიდგომა რადიკალურად შეიცვლება“.

ტრაგედია, რომელმაც მთელი დედოფლისწყარო შეძრა

უბედური შემთხვევა, რომელიც 22 სექტემბერს დედოფლისწყაროს კირქვის კარიერში მოხდა, ყველასათვის შემზარავი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. 29 წლის ზაზა ტუხაშვილმა, რომელიც შპს „კარციტში" ოპერატორად მუშაობდა, სიცოცხლე ქარხნის ერთ-ერთ გადამამუშავებელ ავზში დაასრულა, სადაც მას ზემოდან რამდენიმე ტონა თეთრი ქვიშის ფქვილი დაეყარა. თვითმხილველების თქმით, ზაზა ტუხაშვილი, დაახლოებით ათი მეტრის სიმაღლის და ხუთ მეტრიანი დიაგონალის წრიული ავზის ბოლოში არსებული ძაბრიდან გამოყოფილი ფეხებით შენიშნეს, საიდანაც ის სამაშველო სამსახურმა დანადგარის გაჭრის შემდეგ გამოიყვანა.

-„ის ჩვენს საწარმოში ოპერატორი იყო და მისი მოვალეობა იმ ავზში ჩასვლა არ გახლდათ, მას იქ ჩასვლა არანაირად არ ევალებოდა, საერთოდაც, იქ ჩასვლა არაა საჭირო, როგორც ჩანს, ის ავიდა ან ჩავიდა და ფეხი დაუცდა, თუმცა, რატომ ჩავიდა, ისიც ვერაფრით ამიხსნია. რამ ჩაიყვანა იქ და როგორ მოხდა ისე, რომ ზემოდან სილა დაეყარა, არაფერი მესმის, თავადაც გაოგნებული ვარ. საოცრად კარგი, ინიციატივიანი, მშრომელი, უჭკვიანესი ბიჭი იყო, სულიერად ძალიან განვიცდი და მტკივა."-თქვა ჩვენთან საუბარში შპს „კარციტის" დირექტორმა ვახტანგ კიკილაშვილმა.

-„ჩვენი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმთა ჯგუფი, გამოძახებიდან რვა წუთში ადგილზე გამოცხადდა. უფრო ზუსტად, გამოძახების მიღება 15 საათზე და 40 წუთზე მოხდა, ჯგუფი გავიდა 15 საათზე და 42 წუთზე და ადგილზე 15 საათსა და 50 წუთზე მივიდნენ. ამ შემთხვევაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ცუდი და მძიმე ფაქტი იყო, მე თავადაც დამირეკეს და მაშინვე ადგილზე მივედი. ჩემი მისვლისას ჩვენი სასწრაფო სამედიცინო ჯგუფიც და მაშველებიც უკვე იქ იყვნენ. მაშველები მუშაობდნენ ადამიანის გამოყვანაზე, მათ რკინის ავზი ელექტროშემდუღებლით გამოჭრეს, სილა ჩამოყარეს და ასე ამოიყვანეს, თუმცა, ახალგაზრდა უკვე გარდაცვლილი იყო. მედიკოსების დასკვნით, სამწუხაროდ, ტუხაშვილს არანაირი სიცოცხლის ნიშნები აღარ აღენიშნებოდა, ზუსტად 18 საათზე და 5 წუთზე ჩვენმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა გამოძახება დახურა." - განაცხადა ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსმა ვასიკო სამადაშვილმა და იქვე გულისტკივილი გამოთქვა ტელევიზიების მიერ გაშუქებულ არასწორ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სადაც ჟურნალისტებმა აღნიშნეს, თითქოს მედიკოსებმა დაზარალებულის გადარჩენა ვერ მოახერხეს, რაზეც სამადაშვილი მიუთითებს, რომ ეს არასწორი და უსამართლოდ მიწოდებული ინფორმაციაა. ფაქტიურად პირის დათვალიერება სასწრაფო სამედიცინო ჯგუფის მედიკოსებმა ადგილზე გამოცხადებიდან მხოლოდ ორი საათის შემდეგ მოახერხეს, რა დროსაც ის უკვე გარდაცვლილი იყო, ტელევიზიების მიერ გაშუქებულმა ინფომაციამ კი, სასწრაფოს ექიმების მორალური შეურაცხყოფა გამოიწვია.

ამ ინციდენტს სოციალური ქსელით ეხმაურება სასწრაფო სამედიცინო ცენტრის თბილისის პრესსამსახურიც და თავის ვებსაიტზე საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც გარკვევით წერია, - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მედიასაშუალებების მიერ დედოფლისწყაროს რაიონში, კირქვის საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრი საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

„საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დედოფლისწყაროს კირქვის საწარმოში 29 წლის მამაკაცის გადარჩენა ვერ შეძლო.

გაცნობებთ, რომ შემთხვევა გუშინ, 22 სექტემბერს მოხდა. ზარი გამოძახების შესახებ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში 15:40 სთ-ზე დაფიქსირდა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადა ადგილზე გამოძახებიდან ათი წუთის შემდეგ, 15:50 სთ-ზე მივიდა. ამ დროისთვის, მამაკაცის ქვიშის გროვიდან გამოსაყვანად სპეციალური სამუშაოები მიმდინარეობდა. მისი გამოყვანა ქვიშის გროვიდან თითქმის 2 საათის შემდეგ გახდა შესაძლებელი. რა დროსაც 29 წლის მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გამოძახება 18:05 სთ-ზე დაასრულა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და მედიასაშუალებებს ინფორმაციის გადამოწმებისკენ მოუწოდებს", — აღნიშნულია განცხადებაში.

ის, რომ ტუხაშვილი უბედური შემთხვევის მსხვერპლი იყო, ამაზე საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად საუბრობს. თუმცა, მეორეს მხრივ არსებობს კითხვებიც, რომლებიც გამოძიებას აუცილებლად ექნება, კერძოდ ის, თუ რატომ მოხვდა ტუხაშვილი ქარხნის გადამამუშავებელ ავზში და რა გახდა სინამდვილში მისი სიკვდილის რეალური მიზეზი?! როგორც „შირაქს" შსს კახეთის სამმართველოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა შორენა ჯახუამ განუცხადა -დედოფლისწყაროში მომხდარ ფაქტზე, კერძოდ, ტუხაშვილის კირის ქარხანაში გარდაცვალების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოფას. რაც შეეხება შემდეგ დეტალებს, ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს. შედეგებს ძიების დასრულების შემდეგ შევიტყობთ.

საქმეს შსს დედოფლისწყაროს სამმართველოში დეტექტივი ვალერი ლეკაშვილი იძიებს.

ლალი მეხრიშვილი

გაზეთ „შირაქის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამ ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ხსოვნა

სოსო (იოსებ) ქოქიაშვილი



ჩვენო ტკბილო მამავ, პაპავ და მამამთილო, ძალიან ძნელი იყო თითოეული ჩვენგანისთვის შენი უეცარი სიკვდილი. თავსდატეხილმა უბედურებამ ერთნაირად შეგვძრა და დაგვაბნია შენი ოჯახის წევრები, თუმცა, ერთი რამ გვანუგეშებს, რომ 16 წლის უნახავი შვილი ნახე, ჩაიხუტე გულში და ამით ძალიან გაიხარე. ამქვეყნიური ცხოვრებაც ბედნიერმა დატოვე. დაგრჩა ოთხი შვილიშვილი, ორი შვილთაშვილი და ორი სიძე. სამუდამოდ დარჩები მათ გულებში, როგორც მოსიყვარულე პაპა.

8 ოქტომბერს ოთხი წელი გავა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვენატრები. ბებო თავისი შვილის და შენს გზას გამოჰყურებს. ვცდილობთ, გავუძლოთ ამ დარდს.

გინთებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და გელას სულები.

შვილი გურამი; **რძლები:** მზია, თამრიკო; **შვილიშვილები:** ნინო, ნანა, თამუნა, გელა. **მეუღლე** ლილი.

გელა ქოქიაშვილი

ჩემო უსაყვარლესო მეუღლევ და შენი ორი ქალიშვილის საყვარელო მამიკო, ჯანმრთელს და ჯანღონით სავსეს, 31 წლის ასაკში ბედმა გიმტყუნა, გახდი მოულოდნელად ავტომატის მსხვერპლი და უეცრად სამუდამოდ გამოეცალე შენს საყვარელ ოჯახს. დატოვე ორი მცირეწლოვანი შვილი და სრულიად ახალგაზრდა მეუღლე. შენ კი, ზეციურ სამყაროში გადაინაცვლე.

ჩემო ძვირფასო მეუღლე გელა, მიუხედავად დიდი ტკივილისა და გაჭირვებისა, ღირსეულად ვზიდე ქვრივი დედის ტვირთი და სამაგალითო შვილები დაგიზარდე. გზაზე დავაყენე, კარგ პიროვნებებად ჩამოვაყალიბე და დღემდე ასე ღირსეულად ვაგრძელებ ამ ტვირთის ზიდვას შვილებთან ერთად. მყავს ორი სიძე და ორი შვილიშვილი. მე მათით ვხარობ, რაც შენ არ გეღირსა. მათ ამოავსეს შენით დაცარიელებული გული. მაგრამ შენი წასვლით დატოვებული იარა დღემდე მოუშუშებელია.

რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორციელებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწარი. ნინოს და ნანას ბედნიერებით ვერ გაიხარე. არ დაგცალდა შენი სიძეების და შვილიშვილების მოფერება.

2ოქტომბერს 20 წელი გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 16 წლის შემდეგ, სრულიად უეცრად შენთან წამოვიდა მამაშენი, რომელმაც ვერაფრით გაუძლო უშენობას. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ ცოცხლები ვართ. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისაბაძ მაგალითად დარჩება შენს შვილებს და შვილიშვილებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი უსაყვარლესი მეუღლე თამრიკო; **შვილები** ნინო და ნანა; **სიძეები** რამაზი, მამუკა; **შვილიშვილები:** მარიამი და ლუკა; **ძმა** გურამი; **რძალი** მზია; **ძმისშვილები:** თამუნა და გელა; შენი ნატრული უგედური დედა.

რამაზ და გივი ოზაშვილები

ამბობენ, უფალს თავისთან საუკეთესოები მიჰყავსო. თქვენც ალბათ იმ საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნებოდით, რადგან უფალმა აგირჩიათ და თავისთან წაგიყვანათ, ჩემო ძვირფასო ქმარ-შვილო, გივი და რამაზ!

30 სექტემბერს შენი დაბადების დღეა, 33წლის გახდებოდი. 9 ოქტომბერს კი, მამაშენი 61 წლის გახდებოდა. უკვე ექვსი წელია, რაც მამაშენმა მიგვატოვა. შენ კი, ორი წლის უკან, 10 ნოემბერს გახვედი სახლიდან და აღარ დაბრუნებულხარ. სამუდამოდ მიმატოვე და გაუსაძლისი ტკივილი დამიტოვე. მაშინ გაიყინა ჩემთვის დრო და დამთავრდა ცხოვრება.

ყოველი დღე შენი მონატრებით იწყება, შვილო! ვერ ვერევი, დედიკო, უშენობას! ყოველი დღე ცრემლით მითენდება და მიღამდება. უსაშველო მონატრება და ტკივილი ხარ, შვილო!

ყოველ დღე შევთხოვ უფალს, მომცეს სულიერი ნუგეში, ვევედრები ღმერთს, რომ ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროთ მამა-შვილს.

მშვიდად განისვენეთ, ჩემო ძვირფასებო, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენ კი სანთელს და ლოცვას არ მოგაკლებთ.

შენი გულმოკლული დედა ნანა, და ხათუნა ოჯახით და ყველა ახლოგელ-მეგობარი.

ნოდარ იაკობიშვილი

ჩემო საყვარელო შვილო, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე და წახვედი ჩვენგან. რა მუხთალი აღმოჩნდა წუთისოფელი შენთვის, შვილო! სულ რაღაც 55 წელი იცოცხლე, მაგრამ იცხოვრე ვაჟკაცურად, ალალად. ყველგან სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდი. ალალმართალი და ერთგული იყავი, გენაცვალოს დედა.

ამბობენ: სიკვდილსაც კარგი უნდაო. ამიტომაც წაგიყვანა ღმერთმა. სულ რაღაც ერთი კვირა იავადმყოფე. ყველა თავს გეხვია- შენი ალიკა და ლაშა, შენი და-ნანა, სიძე ბორისი, დისშვილები კახა და დათო თავიანთი ოჯახებით, დღედაღამ შენს სასთუმალთან ათენ-აღამებდნენ, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გიშველეს. 3 ოქტომბერს ერთი წელი შესრულდება, რაც სამარადისო სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი.

მენატრები, ჩემო ნოდარ, ძლიან მენატრები. იმდენად დიდია შენი მონატრების სურვილი, რომ არა მაქვს მამაშენზე ფიქრის დრო, რომელიც შენი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ წამოვიდა შენთან.

დაცარიელდა სახლი. შენს მაგიერ შენს სურათებს ვეფერები, წმინდა სანთლებს გინთებ და ღმერთს იმას ვევედრები, მალე წამომიყვანოს შენთან. ღამე ადრე ვწვები და დილით გვიან ვდგები, რომ გრძელი იყოს სიზმარი და რაც შეიძლება დიდხანს გეფერო და გკოცნო ძილში.

გამეღვიძება და კვლავ შენს სურათებს ჩავიკრავ გულში, ისევ იმის იმედით, რომ სიზმრად გიხილავ.

ამ ვაი-უბედურებაში ერთი წელიც გავიდა, შვილო. მარტო არ მტოვებენ შენი შვილები, შენი და ნანა-თავისი ოჯახით, მაგრამ შვილმკვდარი დედის დაფლეთილ გულს ხომ ვერავინ და ვერაფერი გაამთელებს.

კვლავ მოვა ჩემთვის ავადსახსენებელი 3 ოქტომბერი. კვლავ მოვალთ შენს საფლავზე შენი ახლობლები. აგინთებთ სანთლებს, ლამაზ-ლამაზ ყვავილებს მიმოგიბნევთ, მდუღარე ცრემლებით დავალბობთ გაციებულ მინას და ღმერთს შევღაღადებთ: მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შვილო.

შენი დედა - ნაზო იაკობიშვილი; **შვილები** - ალიკა, ლაშა; **და** ნანა, **სიძე** ბორის კახეთელიძეები, **დისშვილები** კახა, დათო, **რძლები** კესო და ზეინაბი ოჯახებით.

შპს „კალციტი"-ს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გივი ტუხაშვილის ოჯახს შვილის

ზაზა ტუხაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქვემო ქედის ბიბლიოთეკარს ლეილა ხალხელაურს მამის

იოსების

გარდაცვალების გამო.

26 სექტემბერს ქეთევან წამებულის ხსენების დღეა

26 სექტემბერს კახეთის დედოფლის, წმინდა დიდმოწამე ქეთევანის ხსენების დღე აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა შესრულდა.

წმინდა დედოფალი ქეთევანი აშოთან მუხრან ბატონის ასული იყო. 1606 წელს, შაჰ-აბას I-მა კახეთის მეფედ ქეთევან დედოფალის ვაჟი თეიმურაზ I დაამტკიცა, მაგრამ რადგან თეიმურაზი ძალიან ახალგაზრდა იყო, სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა. 1614 წელს, თეიმურაზმა შაჰის მოთხოვნით განჯაში მძევლად გაგზავნა უმცროსი ვაჟი ალექსანდრე და დედა, ქეთევან დედოფალი.

ქეთევან დედოფალმა შაჰ-აბასის მოთხოვნაზე, რომ მუსლიმური სარწმუნოება მიეღო, უარი თქვა, რის გამო შაჰ-აბასის ბრძანებით წმინდა დედოფალი სასტიკად აწამეს. მას თავზე გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს, მარწუხებით მკერდი და ფრჩხილები დააგლიჯეს, მკერდიდან ზურგში გავარვარებული შამფურები გაუყარეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზევიდანაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს. გარდაცვლილი დედოფლის წმინდა ნეშტს სამი ნათლის სვეტი დაადგა.

წამების მხილველმა კათოლიკური ორდენის წარმომადგენლებმა, ავგუსტინელებმა, წმინდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და ინდოეთში, ქალაქ გოაში არსებულ დე-გრასის მონასტერში გადაასვენეს. მიწისძვრის შედეგად მონასტერი დაინგრა და წმინდა დედოფლის საფლავი დაკარგულად ითვლება. ამჟამად საქართველოში წმინდანის მხოლოდ მარჯვენა ხელის ნეკნის ნაწილი და საფლავის ქვა ინახება.

ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძარში მრავალი სიწმინდეა დაბრძანებული. მათ შორის არის წმინდა ქეთევან წამებულის ხატი (ხატმწერი ქეთევან ხაჟომია) წმინდა ქეთევანის წმინდა ნაწილით. აგრეთვე დაბრძანებულია ივერის ღვთისმშობლის ხატი, რომლის წინაშეც ლოცულობდა წმინდა ქეთევანი.

წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ტაძარი უძველესი წარსულის მქონეა. გადმოცემის მიხედვით, ტაძარი წმინდა ილია ჭავჭავაძეს საკუთარი ხარჯებით დაუსრულებია. ავჭალის გავლით საგურამოში მიმავალი წმინდა მამა, მშენებარე ტაძრის მდგომარეობით დაინტერესებულა და მის დამთავრებაში საკუთარი წვლილიც შეუტანია. ტაძარში ღვთისმსახურება კომუნისტური რეჟიმის დამყარებამდე მიმდინარეობდა. ტაძრის ერთ-ერთი წინამძღვარი დეკანოზი ნიკიფორე კანდელაკი ყოფილა, რომელსაც ტაძრის ტერიტორიაზე საკვირაო სკოლაც ჰქონდა გახსნილი. მას ღვთისმსახურებაში დიაკვანი გიორგი ეხმარებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ტაძარი ჯერ საწყობად, შემდეგ კინოთეატრად, ასევე ბიბლიოთეკად გადაუკეთებიათ.

როგორ აღმოჩნდა ჩაკრულო კოსმოსში - დღემდე უცნობი საიდუმლო



"საბჭოთა მაღალჩინოსნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პროექტში მოხვედრილიყო პოპულარული რუსული სიმღერა, "მოსკოვის საღამოები" (პოდმოსკოვნიე ვეჩერა). მიუხედავად მათი მცდელობისა, ქალბატონმა ენმა და მისმა მეგობრებმა ეს სიმღერა არ მიიჩნიეს იმ დონის შედევრად, რომ ზემოთ აღნიშნულ პროექტში ჩაედოთ. მათ რჩევისთვის მიმართეს ლეგენდარულ ამერიკელ ფოლკლორისტს ბატონ ალან ლომაქსს, რომელმაც მაშინვე გადადო სიმღერა გვერდით და მათ მოასმენინა ქართული "ჩაკრულო..." - რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი დღემდე უცნობ მოვლენაზე საუბრობს...

- არამგონია იყოს საქართველოში ქართველი, რომელმაც "ჩაკრულოს" და კოსმოსის ისტორია არ იცოდეს. ხშირად მოხვდებით სუფრასთან, სადაც "ჩაკრულოს" სადღეგრძელოს მოისმენთ, რომელმაც გალაქტიკა გაარღვია. ყველა ქართველი ძალიან ამაყია ამ ფაქტით, სამწუხაროდ, იმის შესახებ თუ რეალურად როგორ მოხვდა "ჩაკრულო" კოსმოსში, ძალიან ცოტამ თუ იცის.. მამა ანსამბლ ერისიონის დირექტორია, უკვე 38 წელია ამ ანსამბლში მოღვაწეობს და შესაბამისად, მთელი ცხოვრება გამუდმებით მესმოდა "ჩაკრულოს" ეს საოცარი ამბავი. ყველამ იცოდა, რომ კოსმოსში გაიგზავნა ეს გენიალური სიმღერა. ამასთან ერთად რამოდენიმე ვერსია არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ და რომელი ანსამბლი ასრულებდა სიმღერას. იყო სხვადასხვა ვერსიები, ზოგი ამბობდა ანსამბლი "რუსთავიო", ლეგენდარული ჰამლეტ გონაშვილიო და კიდევ სხვა. მაგრამ არ მახსოვს ოდესმე გამეგოს კითხვა, თუ როგორ მოხვდა 1977 წლის 20 აგვისტოს, კოსმოსურ ხომალდ Voyager 2 - ზე ქართული "ჩაკრულო".

- როგორ მოხვდა?

- მოკლედ გეტყვით იმ ისტორიული პროექტის შესახებ, რომლის ნაწილიც გახდა ჩვენი ეს უნიკალური სიმღერა. 70 - იანი წლების მიწურულს, ლეგენდარულ ამერიკელ მეცნიერს და ტელეწამყვანს კარლ საგანს გაუჩნდა იდეა, NASA-თან ერთად განეხორციელებინა პროექტი. დედამიწიდან უნდა გაეშვათ რაკეტა, რომელზეც დატანილი იქნებოდა ძალიან დიდი ინფორმაცია დედამიწის და მისი მობინადრეების შესახებ. შეიქმნა ეგრეთწოდებული "ოქროს დისკი" და ამ დისკზე დატანილ იქნა დიდძალი ინფორმაცია. მათემატიკური ფორმულების, ადამიანების და ცხოველების ფოტოების, ბუნების სხვადასხვა მოვლენების, მაგალითად ჭექა-ქუხილის ხმებთან ერთად, ოქროს დისკზე დაიტანეს 27 მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ძალიან დიდი რუდუნებით შეირჩა. დღეს უკვე Voyager 2 დედამიწას თითქმის 16 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული და აგრძელებს გზას უსასრულობისაკენ.

ჩემმა კვლევამ, გამოჩენილი ქართველ-ამერიკელი ავია კონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, არა ერთხელ მიმიყვანა NASA-ში. ერთ ერთი ასეთი ვიზიტის დროს ვიკითხე Vოყაგერ 2 -ის შესახებ. ძალიან მაინტერესებდა, თუ როგორ მოხვდა საბჭოთა კავშირის დროს ქართული "ჩაკრულო" ამ ისტორიულ პროექტში. NASA-ში მომცეს ქალბატონ ენნ დრუიენის ელექტრონული ფოსტის მისამართ და მითხრეს, რომ ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც კომპეტენტური პასუხის გაცემა შეეძლო ჩემს კითხვაზე. რა თქმა უნდა დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ქალბატონ დრუიენს და მისგან 2 დღეში საოცარი პასუხი მივიღე. მისი თქმით, საბჭოთა მაღალჩინოსნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პროექტში მოხვედრილიყო პოპულარული რუსული სიმღერა, "მოსკოვის საღამოები" (პოდმოსკოვნიე ვეჩერა). მიუხედავად მათი მცდელობისა, ქალბატონმა ენმა და მისმა მეგობრებმა ეს სიმღერა არ მიიჩნიეს იმ დონის შედევრად, რომ ზემოთ აღნიშნულ პროექტში ჩაედოთ. მათ რჩევისთვის მიმართეს ლეგენდარულ ამერიკელ ფოლკლორისტს ბატონ ალან ლომაქსს, რომელმაც მაშინვე გადადო სიმღერა გვერდით და მათ მოასმენინა ქართული "ჩაკრულო". ქალბატონი ენი იხსნებს იმ ემოციას, რომელიც იმ წუთში განიცადა და მისი თქმით, პირველივე მოსმენისთანავე "ჩაკრულოს" გარანტირებული ქონდა ადგილი პროექტში.

აი, ასე, ქართველების ჩაურევლად, ქართული "ჩაკრულო" მოხვდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტში. სიმღერას ასრულებდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (დღეს "ერისიონი") ბატონი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით და სოლისტები იყვნენ ან განსვენებული ილია ზაქაიძე და ბატონი როსტომ საგინაშვილი, რომელიც დღესაც იგივე წარმატებით ასრულებს „ჩაკრულოს".

მანანა გაბრიჭიძე
გაზეთი „კვირის პალიტრა"

ულოცავენ!

ლელა ბილიაშვილს!
ანატოლი ლატარიას!

დიდი სიყვარულით გილოცავთ შვილების დავით ლატარიას და თიკო ნიკურაძის ქორწინებას.

გისურვებთ მყარი, ქართული ოჯახის შექმნას და აკვანთა სიმრავლეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები.

გიორგი პაპაჩაშვილს!
ქეთი ჯარმელაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილის ნიკოლოზის დაბადებას. ღმერთმა ბედნიერი, ჯანმრთელი და გონიერი გაზარდოს თქვენი პატარა.

ვუსურვებთ მას ღვთის წყალობას და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას.

დიდი სიყვარულით, პაპა-ბებია გაიდო და კატუშა
პაპაჩაშვილები; დედა მარინე ლოგჟანიძე, მამა გივი პაპაჩაშვილი;
და ეკა პაპაჩაშვილი ოჯახით; მამიდები ეთერი და თამრიკო.

ირაკლი ქუთაშვილს!

ჩვენო საყვარელო ვაჟკაცო, ჩვენო დიდო იმედო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ცხოვრებაში წინსვლას, შენი ყველა მიზნის განხორციელებას. ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეს. უფალი გწყალობდეს ყოველთვის.

დიდი სიყვარულით:
ბებიები იზო და ზოია გონაშვილები.

ყურადღება!

ვყიდი ან ვაქირავებ 20 ჰექტარ სახნავ მიწას შირაქში. დარეკეთ:

591 977 326

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ოჯახში მაქვს დასაკრეფი ტალავერი (თალარი). პინოს ჯიშის ყურძნის მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ და დაკრიფოთ. ქალაქი დედოფლისწყარო, ფალიაშვილის ქ. №11.

(0356) 22 24 53

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 29.09		სამშაბათი 30.09		ოთხშაბათი 01.10		ხუთშაბათი 02.10		პარასკევი 03.10		შაბათი 04.10		კვირა 05.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	16 °	18 °	12 °	19 °	13 °	20 °	13 °	18 °	12 °	13 °	12 °	19 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K